EU Information and Documents Centre
PARLIAMENT OF GEORGIA

ევროპის ღროით

ევროკავშირის საინფორმაციო
და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველოს პარლამენტში

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

მარტი 2010 №3 (15)

29-30 მარტს თბილისში ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მე-12 სხდომა გაიმართა, რომელზეც განხილულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების აქტუალური საკითხები.

ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი მას შემდეგ შეიქმნა, რაც 1999 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირთან გაფორმებული „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ". ამავე წელს ჩატარდა კომიტეტის პირველი სხდომა. მსგავსი სახის შეხვედრა, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ იმართება, მონაცვლეობის პრინციპით - ბრიუსელსა და თბილისში. კომიტეტის შემადგენლობაში ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრები შედიან.

კომიტეტის მე-12 სხდომა ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომელზეც საქართველოს საშინაო და საგარეო გამოწვევებსა და მიღწევებზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოხსენებები გააკეთეს. შეხვედრაზე ქართველ და ევროპელ კოლეგებს შორის მრავალ საკითხზე აქტიური დისკუსიები მიმდინარეობდა, რომელთა საფუძველზეც საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტმა **განცხადებისა და რეკომენდაციების** ტექსტი შეიმუშავა.

დოკუმენტმა საქართველოსთვის თითქმის ყველა აქტუალური საკითხი მოიცვა. კერძოდ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ურთიერთობები, საქართველოში არსებული ზოგადი მდგომარეობა, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები, სიტუაცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა.

რეკომენდაციების მიღებით ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მე-12 შეხვედრამ მუშაობა დაასრულა. სხდომის შედეგები კი თანათავმჯდომარეებმა, ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტში საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა - დავით დარჩიაშვილმა და ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა - მილან ცაბრნოხმა პრეს-კონფერენციაზე შეაჯამეს.

როგორც დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საპარლამენტო ფორმატი უკვე ათი წელია მოქმედებს და ის საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი თქმით, მიღებული იქნა განცხადება და რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია, როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე ევროკავშირისადმი.

დარჩიაშვილის ინფორმაციით, ტექსტში ასახულია საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება, ასევე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების სამომავლო გეგმები, მათ შორის, „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ინიციატივაში მონაწილეობა და ამ ინიციატივიდან გამომდინარე სავიზო რეჟიმის გამარტივება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმებისა" და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადების პერსპექტივები.

დარჩიაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მიღებული დოკუმენტის იმ ნაწილზე, სადაც საუბარია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შეუსრულებლობაზე. განცხადებაში საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი გმობს რუსეთის ქმედებებს და მოუწოდებს ევროკავშირს, უფრო აქტიურად ჩაერთოს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტაში. კომიტეტი ასევე მიესალმა საქართველოს მთავრობის ახალ სახელმწიფო სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ და გამოხატა იმედი, რომ ყველა მხარის ძალისხმევის შედეგად, შესაძლებელი გახდება მისი განხორციელება.

ევროპარლამენტის დელეგაციის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა კონფლიქტის ზონებში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაგრძელებისა და მისი მანდატის გაფართოების მნიშვნელობაზე.

მილან ცაბრნოხმა აღნიშნა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების „მეორე ტალღას" და იმედი გამოთქვა, რომ ადგილობრივი არჩევნები დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

მისივე თქმით, ევროკავშირისთვის საქართველო განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი და პრივილეგირებული პარტნიორი და მხარეებს შორის ურთიერთობების განმტკიცების საქმეში თანამშრომლობის ახალი ფორმატი - „აღმოსავლეთის პარტნიორობის" საპარლამენტო ასამბლეა პოზიტიურ როლს შეასრულებს.

ევროკალენდარი

7–8 აპრილი

გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის — შტეფან ფიულეს ვიზიტი საქართველოში.
(თბილისი, საქართველო)

12 აპრილი

ევროკავშირის საბჭოს პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხთა კომიტეტის — „ტროიკას" შეხვედრა.
(ბრიუსელი, ბელგია)

29 აპრილი

ვაჭრობის, ეკონომიკურ და შესაბამის სამართლებრივ საკითხებზე ევროკავშირი-საქართველოს ქვეკომიტეტის მე-9 შეხვედრა.
(თბილისი, საქართველო)

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროკავშირის საინფორმაციო და დოკუმენტაციის ცენტრი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
საქართველოს პარლამენტი, C კორპუსი, ოთახი 126
ტელ.: (995 32) 92 37 03
ელ. ფოსტა: euinfocentre@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი
საქართველო, თბილისი 0118
რუსთაველის გამზირი 8
ტელ.:(995 32) 28 17 08; (995 32) 28 13 92
ფაქსი: (995 32) 28 13 49
ელ.ფოსტა: europa@parliament.ge

მარცის დაიჯესტი

ევროპის კავშირმა საქართველოს მთავრობის ახალი სტრატეგია მოიწონა

2010 წლის 11 მარტს ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა წარმომადგენელმა — კეტრინ ეშტონმა, ევროპის კავშირის სახელით, განცხადება გამოაქვეყნა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ევროპული გაერთიანება ცნობად იღებს 27 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „სახელმწიფო სტრატეგიას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით". განცხადებაში ასევე ვკითხულობთ, რომ ევროპის კავშირი მიესალმება საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებას, კონფლიქტი გადაწყვიტოს მხოლოდ მშვიდობიანი და დიპლომატიური მეთოდებით. ევროპული გაერთიანება იწონებს ზემოთ აღნიშნული სტრატეგიის სულისკვეთებას და მიიჩნევს, რომ იგი მიმართულია აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის მიმართ კონსტრუქციული ნაბიჯებისკენ დაძაბულობის განმუხტვისა და ნდობის აღდგენის კუთხით.

ევროკავშირი აგრეთვე მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, აწარმოოს კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რათა შესაძლებელი გახდეს სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება. ევროპის კავშირი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის მთავარი პრიორიტეტი შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს უზრუნველყოფაა, რომელიც თავის მხრივ, ვენეციის კომისიის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებთან შესაბამისობაში იქნება მოყვანილი.

განცხადების ბოლოს აღნიშნულია, რომ ევროპის კავშირი კვლავ ადასტურებს თავის მხარდაჭერას საქართველოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სამართლით აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ პატივისცემაზე.

ევროპის კავშირი ერთიანი ენერგეტიკული ქსელი შექმნას აპირებს

2010 წლის 4 მარტს ევროკომისარმა ენერგეტიკის საკითხებში — გიუნტერ ეტინგერმა განაცხადა, რომ ევროკომისია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გაზისა და ელექტრო მაგისტრალების მოდერნიზაციისთვის 2.3 მილიარდი ევროს მობილიზებას აპირებს. ეტინგერის თქმით, აღნიშნული თანხა ევროკავშირის ერთიანი ენერგეტიკული ქსელის შექმნას მოხმარდება, რითაც ევროგაერთიანება თავის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

2009 წელს ევროკომისიამ ამ კუთხით უკვე გამოყო 1.5 მილიარდი ევრო, რომლის ათვისებაც 18 თვის განმავლობაში მოხდება.

საქართველო ევროპის კავშირის საავიაციო ბაზართან ინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს

2010 წლის 5 მარტს თბილისში პარაფირებულ იქნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის საჰაერო მომსახურების სფეროში ყოვლისმომცველი ხელშეკრულება, რომელიც მხარეების საავიაციო ბაზრების გახსნას, ინტეგრირებას, თანამშრომლობის განმტკიცებასა და მომხმარებლებისა და ავიაოპერატორებისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას ითვალისწინებს.

გასული ექვსი თვის განმავლობაში ჩატარებული მოლაპარაკებების სამი რაუნდის შედეგად მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის, საერთო წესების საფუძველზე, ჩამოყალიბდება „საერთო საჰაერო სივრცე".

ხელშეკრულების შედეგად, ყველა ევროპულ ავიაკომპანიას შესაძლებლობა ექნება, შეასრულოს პირდაპირი რეისები საქართველოში ევროკავშირის ნებისმიერი წერტილიდან. ქართულ კომპანიებსაც ასევე შეეძლებათ შეასრულონ რეისები ევროკავშირში. ხელშეკრულების შედეგად, გაუქმდება ყველა ბარიერი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ფასებსა და რეისების ყოველკვირეულ რაოდენობაზე.

ევროკავშირმა მსგავსი ხელშეკრულებები უკვე გააფორმა დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოებთან და მაროკოსთან. ამჟამად ევროგაერთიანება მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს უკრაინასთან, იორდანიასთან, ისრაელთან, ლიბანთან, ტუნისსა და ალჟირთან.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობები სწრაფად ძლიერდება

ეს განცხადება ბრიუსელში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა - ჰერმან ვან რომპუიმ გააკეთა. ოფიციალურ განცხადებაში მან ასევე აღნიშნა, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ფარგლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული და აგრეთვე დასასრულს უახლოვდება კონსულტაციები „ასოცირების შეთანხმების" ძირითად საკითხებზე. რომპუიმ ასევე განაცხადა, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც წარმატებით წარმართავს მოლაპარაკებებს რეადმისიისა და სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმებებთან დაკავშირებით.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ევროკავშირის მხარდაჭერას და აღნიშნა, რომ ევროპული გაერთიანება რუსეთისგან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ვალდებულებების შესრულებას მოელის.

პერუსა და კოლუმბიასთან სავაჭრო შეთანხმებაზე მოლაპარაკებები დასრულებულია

2010 წლის პირველ მარტს ევროკომისიამ ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირმა პერუსა და კოლუმბიასთან თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების გაფორმების შესახებ მოლაპარაკებები დაასრულა. შეთანხმება მოიცავს სოფლის მეურნეობისა და მანუფაქტურულ ნაწარმს, მომსახურების სფეროსა და ინვესტიციებს.

შეთანხმება ასევე გულისხმობს ორ მხარეს შორის სამრეწველო ნაწარმითა და თევზით ვაჭრობის სრულ ლიბერალიზაციას. ევროპის პარლამენტისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ დოკუმენტის რატიფიცირების შემ-

დეგ ევროკავშირში იმპორტირებული პერუს ნაწარმის 80%, ხოლო კოლუმბიის - 65% სატარიფო გადასადებისგან გათავისუფლდება. დანარჩენ პროდუქტებზე მსგავსი შეღავათის გასავრცელებლად სპეციალური განრიგი შემუშავდება.

ევროკავშირი პერუსა და კოლუმბიას ეკონომიკის მოდერნიზებაში დახმარებას გაუწევს, რათა სავაჭრო შეთანხმების უპირატესობები ბოლომდე იქნას გამოყენებული.

ბალკანეთის ქვეყნებთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ ბელგია არასაქმარისი თავშესაფრის პრობლემის წინაშე დაგგა

ევროკავშირის მხრიდან ბალკანეთის სამ ქვეყანასთან (მაკედონია, სერბეთი, მონტენეგრო) სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ ბელგიაში თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მაგალითად, მაკედონიიდან მხოლოდ 2010 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, თავშესაფრის მსურველთა რიცხვმა 401 ადამიანი შეადგინა, მაშინ როდესაც მთლიანად 2009 წლის განმავლობაში მაკედონიიდან სულ 200 განცხადება შევიდა.

იგივე ხდება სერბეთის შემთხვევაშიც. ბელგიაში თავშესაფრის მოთხოვნით დოკუმენტაცია 2010 წლის 2 თვეში 347-მა სერბეთის მოქალაქემ შეავსო. ბელგიაში ცხოვრების უფლება მხოლოდ მათ აქვთ, ვისაც თავშესაფარი ოფიციალურად აქვს მიღებული. დაწუნებული ანკეტები უკან სამშობლოში იგზავნება.

ევროკავშირთან თავისუფალი მიმოსვლის მოლოდინში ახლა ალბანეთი, ბოსნია და კოსოვო არიან. თუმცა ბელგიის პრემიერ-მინისტრის - ივ ლეტერმეს წარმომადგენლის, დომინიკ დეჰინის განცხადებით: „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია კარგი რამ არის, მაგრამ იგი სწორად უნდა იქნას გამოყენებული".

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის დამკვიდრებას მომავალში საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნები - უკრაინა, საქართველო და რუსეთიც მოელიან. თუმცა ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ბელგიის გამოცდილებამ შესაძლოა სამომავლოდ ამ საკითხზე ევროპული გაერთიანების მოქალაქეთა მხარდაჭერა შეასუსტოს.

მოლდოვას ახალ ლიბერს ევროკავშირმა მხარი დაუჭირა

24 მარტს ბრიუსელში დონორთა კონფერენცია გაიმართა, რომლის მიზანსაც მოლდოვასთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა წარმოადგენდა. შეხვედრაზე სულ 1.9 მილიარდი ევროს ოდენობის საერთაშორისო დახმარების მობილიზება მოხერხდა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მოლდოვას „პოსტ-რევოლუციური" მთავრობისადმი დემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერა და აღიარება.

თანხის ნაწილი მოლდოვას სესხის სახით გადაეცემა, ნაწილი კი - გრანტის სახით. დონორთა შორის იყვნენ ევროპის კავშირი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, აშშ, იაპონია და სხვ.

აღნიშნული დახმარების გარდა, ევროკომისია მოლდოვასთვის მაკრო-საფინანსო დახმარების სახით დამატებით 90 მილიონი ევროს გამოყოფას აპირებს. ამასთანავე, ევროკომისიას დაგეგმილი აქვს, მოლდოვასთან უახლოეს თვეებში დაიწყოს მოლაპარაკება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებისა და უვიზო მიმოსვლის თაობაზე.

გამოყენებული წყაროები:
www.euobserver.com;
www.delgeo.ec.europa.eu;
www.europa.eu;

ევროსტატისტიკა

ევროკავშირში ქალთა და მამაკაცთა ცხოვრების დონის სტატისტიკური სურათი

როგორია ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა ევროკავშირში და როგორი იქნება იგი 2030 წლისათვის? როგორია გენდერული თვალსაზრისით უმუშევრობის დონის მაჩვენებელი? რა სხვაობაა ქალებისა და მამაკაცების მიერ ინტერნეტით სარგებლობის სტატისტიკაში? ამ და სხვა მრავალ კითხვაზე პასუხი ევროკავშირის სტატისტიკური სამსახურის - „ევროსტატის" მიერ ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს გამოქვეყნებულ მოხსენებაში არის ასახული. დოკუმენტი გენდერულ საკითხზე „ევროსტატში" არსებული ინფორმაციის მხოლოდ მცირე ნაწილს მოიცავს.

2008 წლის მონაცემების მიხედვით, ევროკავშირში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ქალებისათვის შეადგენდა 82.2-ს და კაცებისათვის - 76.1 წელს. ეს მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება. მაგალითად, ქალებისათვის ბულგარეთში იგი 77 წელია, ხოლო საფრანგეთში - 84.9 (2007 წლის მონაცემით). მამაკაცებისთვის სიცოცხლის საშუალო მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობა შესაბამისად იყო 66.3 (ლიტვა) და 79.2 წელი (შვედეთი). ქალთა და მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ყველაზე დიდი სხვაობა დაფიქსირდა ლიტვაში (77.6 წელი ქალებისთვის და 66.3 მამაკაცებისათვის), ესტონეთსა (79.5 და 68.7) და ლატვიაში (77.8 და 67), ხოლო ყველაზე მცირე სხვაობა იყო ჰოლანდიაში (82.5 და 78.4), შვედეთსა (83.3 და 79.2) და დიდ ბრიტანეთში (81.8 და 77.6). 2030 წლისათვის პროგნოზირებული მონაცემებით, ევროკავშირში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იქნება 85.3 წელი ქალების და 80 წელი მამაკაცებისათვის.

გენდერული თვალსაზრისით, დასაქმების სურათი ასევე განსხვავებულია ყველა ქვეყანაში. წლების მანძილზე ქალთა უმუშევრობის მაჩვენებელი ყოველთვის აღემატებოდა მამაკაცებისას. 2009 წლის მაისიდან კი პირველად დაფიქსირდა მამაკაცთა უმუშევრობის მაღალი ციფრი. ასეთი მაჩვენებელი მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის შედეგს ასახავდა. წარმოების სექტორში გათავისუფლებული სამუშაო ადგილები ძირითადად მამაკაცებს ეკავათ. 2010 წლის იანვარში ევროკავშირში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი იყო 9.3% (ქალები) და 9.7% (მამაკაცები). აქედან 15 წევრ სახელმწიფოში ქალთა შორის უმუშევრობა უფრო მცირე იყო ვიდრე მამაკაცებში. ყველაზე დიდი სხვაობა ამ მხრივ ბალტიის ქვეყნებში დაფიქსირდა. 2009 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით, ევროკავშირში ქალთა 58.7% და მამაკაცთა 71% დასაქმებული იყო, მაშინ როცა 2008 წლის იმავე მონაცემებით ეს რიცხვი 59.4%-სა და 73.3%-ს შეადგენდა.

განსხვავებული სურათია ქალებისა და მამაკაცების მიერ ინტერნეტის გამოყენების კუთხითაც. 2009 წელს 16-დან 74 წლამდე ასაკის ქალთა 55% და მამაკაცთა 60% სარგებლობდა ინტერნეტით ელექტრონული ფოსტის გამოყენების მიზნით. ინტერნეტ-ბანკინგს ქალთა მხოლოდ 30% და მამაკაცთა 35% მიმართავდა. პერიოდული პრესის გასაცნობად ინტერნეტს ქალთა 27% და მამაკაცთა 35% იყენებდა. ქალებისა და მამაკაცების მხოლოდ 15% სარგებლობდა ინტერნეტით სამსახურის მოსაძებნად.

eurostat

ევრო პაიჭრა

ვენის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი

ვაგრძელებთ დაიჯესტის წინა ნომრებში (იხ. „ევროპის დროით" 2010 წლის N1, N2) დაწყებულ რუბრიკას - განათლება ევროპაში და გაწვდით ინფორმაციას კიდევ ერთი სასწავლო სტიპენდიის შესახებ.

ვენის (ავსტრია) ტექნოლოგიის უნივერსიტეტი იწყებს განაცხადების მიღებას დოქტორანტურის კურსის გასავლელად შემდეგ სპეციალობებში:

- ბიზნეს-ინფორმატიკა;
- გამოთვლითი დამუშავების შედეგები;
- კომპიუტერული უზრუნველყოფა;
- გამანაწილებელი და პარალელური სისტემები;
- მედია-ინფორმატიკა და გრაფიკული გამოთვლები.

სტიპენდიის ფარგლებში 15 ადგილობრივი თუ საერთაშორისო სტუდენტი ყოველთვიურად მიიღებს სტიპენდიას 1000 ევროს ოდენობით საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად.

წარსული აკადემიური კვალიფიკაციისა და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილების გარდა, სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (TOEFL, IELTS, CAE პროგრამებიდან ერთ-ერთში მიღებული შეფასების ფურცელი).

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნივერსიტეტის დოქტორანტურის სკოლის ელ. ფოსტაზე: phdschool@informatik.tuwien.ac.at ელექტრონული სახით (PDF ფორმატში) უნდა გააგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

- მაგისტრის ან უფრო მაღალი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) გავლილი კურსების ჩამონათვალთან და აკადემიური მოსწრების მაჩვენებელ დანართთან ერთად
- სამაგისტრო ნაშრომი
- რეზიუმე (CV)
- სამოტივაციო წერილი
- მინიმუმ 2 სარეკომენდაციო წერილი სხვადასხვა რეკომენდატორისგან (რომელთაგან ერთ-ერთი მაინც სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა კანდიდატის მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში)
- ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი
- კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი (მხოლოდ ფოტოსურათისა და პირადი ინფორმაციის შემცველი გვერდები)
- ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატის ოფიციალურად დამოწმებული ასლები
- სასურველია კანდიდატის მიერ ვენის უნივერსიტეტში ყოფნისას კვლევით-მეთოდოლოგიური საქმიანობის გეგმის (დეტალური აღწერა) წარმოდგენა.

განაცხადების გაგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 7 მაისი. სტიპენდიების შესახებ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ვებ-გვერდები:

www.informatik.tuwien.ac.at/teaching/doctoral/phdschool/
www.informatik.tuwien.ac.at/teaching/doctoral/phdschool/phdschool-application.pdf
www.informatik.tuwien.ac.at/teaching/doctoral/phdschool/application.html

გვკითხეთ ევროკავშირის შესახებ

28 13 29

euinfocentre@parliament.ge



რას მოიცავს ფუნდამენტურ უფლებათა ევროპული ქარტია და როდის შეიქმნა იგი?

ფუნდამენტურ უფლებათა ევროპული ქარტია უმნიშვნელოვანესია გამოქვეყნებულ ევროპულ დოკუმენტებს შორის.

ფუნდამენტურ უფლებათა ევროპულმა ქარტიამ თავი მოუყარა ცალკეულ დოკუმენტებში გაბნეულ დებულებებს.

1999 წლის 3-4 ივნისს ევროპის საბჭომ მიიღო ფუნდამენტურ უფლებათა ევროპული ქარტია, რომელშიც ჩამოთვლილია ფუნდამენტურ უფლებათა ექვსი მიმართულება: ღირსების, თავისუფლების, თანასწორობის, ერთობის, მოქალაქეობრივი და სამართლიანობის უფლებები. აღნიშნული უფლებები საყოველთაოა მიუხედავად ეროვნებისა, წარმომავლობისა, რასისა და სქესისა.

ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია დროდადრო განიცდის ცვლილებებს და მასში შედის დამატებები, რაც განპირობებულია თანამედროვე გამოწვევებით. მაგალითად, უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და გენეტიკაში არსებული სიახლეებით, რაც აგრეთვე უნდა მოექცეს გარკვეულ ჩარჩოში და არ უნდა არღვევდეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

ფუნდამენტურ უფლებათა ევროპულ ქარტიაზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე:

http://ec.europa.eu/justice_home/unit/charte/en/charter-preamble.html

კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით
"ევროპის დროით"
იბეჭდება საქართველოს 4 რეგიონულ გაზეთში

Konrad Adenauer Stiftung
Regionalprogramm Politischer Dialog Südkaukasus

ნომერზე მუშაობდნენ: ლევან ნაცვლიშვილი, ირინა ცერცვაძე, თეა ცარიელაშვილი, თამარ ჟღენტი, მარიკა კაჭარავა

"ევროპის დროით" ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე:
www.parliament.ge